

დანჟუა-ლუზინის სისტემები და უპირობო კრებადობა ბანახის სივრცეში

ვახტანგ კვარაცხელია^ა, ვაჟა ტარიელაძე^ბ

ელ-ფოსტა: v.kvaratskhelia@yahoo.com vazhatarieladze@yahoo.com

- ^ამათემატიკის დეპარტამენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მათემატიკის ლაბორატორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2, უნივერსიტეტის ქ., თბილისი 0186, საქართველო
- ^ბნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 10, აკურის ქ., თბილისი, 0160, საქართველო

ჩვენ ვიტყვით, რომ (Ω, A, P) ალბათურ სივრცეზე მოცემული (ξ_k) შემთხვევით სიდიდეთა უსასრულო მიმდევრობა არის დანჟუა-ლუზინის სისტემა, თუ (x_k) რიცხვთა ნებისმიერი უსასრულო მიმდევრობისათვის $\sum_{k=1}^{\infty} |x_k \xi_k|$ მწკრივის თითქმის ყველგან კრებადობა იწვევს შემდეგი პირობის შესრულებას: $\sum_{k=1}^{\infty} |x_k| < \infty$. ჩვენ მოცემული გვაქვს დანჟუა-ლუზინის სისტემის დახასიათება. გარდა ამისა, ვამტკიცებთ, რომ თუ (ξ_k) არის დანჟუა-ლუზინის სისტემა და (x_k) არის X ბანახის სივრცის ელემენტთა უსასრულო მიმდევრობა, მაშინ $\sum_{k=1}^{\infty} x_k \xi_k$ მწკრივის თითქმის ყველგან უპირობო კრებადობა იწვევს X -ში $\sum_{k=1}^{\infty} x_k$ მწკრივის უპირობო კრებადობას.